პროექტი

საქართველოს კანონი

„საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ. 5) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სპეციალური დაწესებულებაა, რომელიც კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო უწყებებთან ერთად უზრუნველყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით მისთვის დაკისრებულ ამოცანებს.“

2. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება;“

3. მე–4 მუხლის მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახური კანონით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში ინფორმაციას აწვდის საქართველოს პრემიერ–მინისტრს, საქართველოს პარლამენტს, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.“

4. მე–5 მუხლის:

ა) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) აცნობოს საქართველოს პრემიერ–მინისტრს , საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებსა და დაინტერესებულ უწყებებს სახელმწიფოს უშიშროებისათვის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ“;

ბ) „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) საქართველოს პრემიერ–მინისტრის ან პარლამენტის გადაწყვეტილებით მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ღონისძიებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;“

5. მე–11 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შეიარაღებაში არსებული სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ნუსხას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა .“

6. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. სამთავრობო კონტროლი

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ანგარიშვალდებულია

საქართველოს მთავრობის წინაშე.

2. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სახელმწიფო პროგრამებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა“

მუხლი 2.გარდამავალი დებულებები

1.ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან/და მისი ნაწილი, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ კანონს, იურიდიულ ძალას კარგავს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ამოქმედების მომენტიდან. კანონი ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი